**International Federation of Library Associations and Institutions**
**Universal Bibliographic Control and International MARC Programme**

**UBCIM Publications – New Series Vol 6**

# ISBD(G)
# General International Standard Bibliographic Description

**Annotated Text**

**Revised edition**

**Prepared by the ISBD Review Committee Working Group set up by the IFLA Committee on Cataloguing**

**Edited by Marie-France Plassard**

**K. G. Saur**
**Munchen . London . New York . Paris 1992**

**Translated into Georgian by**
**Tamar Tskhakaia and Teimuraz Chkhenkeli**

**Library Automation Association in Georgia**
**Tbilisi 2000**

საბიბლიოთეკო ასოციაციების და ორგანიზაციების საერთაშორისო ფედერაცია
**(I F L A )**

საყოველთაო ბიბლიოგრაფიული აღრიცხვისა და საერთაშორისო კომპიუტერული კატალოგიზაციის პროგრამა **(UBCIM)**

**UBCIM**-ის გამოცემები – ახალი სერია ტომი **6**

# I S B D ( G )
# საერთაშორისო სტანდარტული ზოგადი ბიბლიოგრაფიული აღწერილობა

ანოტირებული ტექსტი

გადამუშავებული გამოცემა

მომზადებულია **ISBD**-ს სარევიზიო კომისიის მიერ
**IFLA**-ს საკატალოგიზაციო კომიტეტის მიერ დაარსებული
სამუშაო ჯგუფი

რედაქტორი მარი-ფრანს პლასარი

კ.გ.საური
მიუნხენი ლონდონი ნიუ-იორკი პარიზი **1992**

ინგლისურიდან თარგმნეს
თამარ ცხაკაიამ და თეიმურაზ ჩხენკელმა

ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის ასოციაცია საქართველოში
თბილისი **2000**

შ ი ნ ა ა რ ს ი


**შესავალი**

**0 წინასწარი შენიშვნები**
0.1 მოქმედების არე, მიზანი და გამოყენება
0.2 განსაზღვრებანი
0.3 ISBD(G)-ს სქემა
0.4 პუნქტუაცია
0.5 ინფორმაციის წყაროები
0.6 აღწერილობის ენა და დამწერლობა
0.7 შემოკლებები და აბრევიატურა
0.8 დიდი ასოების გამოყენება (კაპიტალიზაცია)
0.9 მაგალითები
0.10 ბეჭდვითი შეცდომები
0.11 სიმბოლოები და ა.შ.

**1 ელემენტების სპეციფიკაცია**
1.1 სათაურისა და პასუხისმგებლობის ცნობების სფერო
1.2 გამოცემის სფერო
1.3 მასალის (ან პუბლიკაციის სახეობის) დამახასიათებელი სფერო
1.4 გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. სფერო
1.5 ფიზიკური აღწერილობის სფერო
1.6 სერიის სფერო
1.7 შენიშვნების სფერო
1.8 სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნომრის და ხელმისაწვდომობის პირობების
სფერო

**დანართები**
ა. მრავალდონიანი აღწერილობა
ბ. ორმხრივი მიმართულების ჩანაწერები

# შესავალი

საერთაშორისო სტანდარტული ბიბლიოგრაფიული აღწერილობა International Standard Bibliographic Description საკატალოგიზაციო ექსპერტების საერთაშორისო თათბირზე მიღებული რეზოლუციის შედეგად შეიქმნა. ეს თათბირი, ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შინაარსისა და ფორმის სტანდარტების დასადგენად IFLA -ს საკატალოგიზაციო კომიტეტის მიერ, 1969 წელს, კოპენჰაგენში იყო ორგანიზებული. მონოგრაფიული გამოცემების საერთაშორისო სტანდარტული ბიბლიოგრაფიული აღწერილობა პირველი იყო ISBD-თაგან, რომელიც 1969 წლის მანდატის თანახმად შეიქმნა. ISBD(M)-ის პირველი ტექსტი რეკომენდაციების სახით 1971 წელს გამოქვეყნდა. 1973 წლისათვის იგი მიიღო და დაამტკიცა ეროვნული ბიბლიოგრაფიის მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა, ინგლისურიდან ითარგმნა სხვადასხვა ენაზე და მრავალმა საკატალოგიზაციო კომიტეტმა ამ ტექსტის გათვალისწინებით თავიდან შეადგინა პროექტები ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ეროვნული წესებისათვის. ამ ტექსტის პრაქტიკული გამოყენების შედეგად წარმოშობილი შენიშვნების გავლენით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გადამუშავებული ტექსტის გამოქვეყნების შესახებ. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, 1973 წლის 23-24 აგვისტოს, გრენობლში, IFLA-ს გენერალური საბჭოს ყრილობის წინ, IFLA-ს საკატალოგიზაციო კომიტეტმა მოაწყო ISBD(M)-ის სარევიზიო თათბირი. ამ თათბირის შედეგი კი იყო ISBD(M)-ის "პირველი სტანდარტული გამოცემის" გამოქვეყნება 1974 წელს.

1975 წლის აგვისტოში ინგლისურ-ამერიკული საკატალოგიზაციო წესების რევიზიის ერთობლივმა მმართველმა კომისიამ IFLA-ს საკატალოგიზაციო კომიტეტს შესთავაზა ყველა ტიპის საბიბლიოთეკო მასალისათვის მისაღები ზოგადი ბიბლიოგრაფიული აღწერილობის საერთაშორისო სტანდარტის შემუშავება. ამის შედეგად, 1977 წელს, გამოქვეყნდა ISBD(G). შემდეგ ISBD(G)-სთან შესატყვისობაში იქნა მოყვანილი ISBD(M) და ISBD(M)-ის "პირველი შესწორებული სტანდარტული გამოცემა" 1978 წელს გამოქვეყნდა.

1977 წ. აგვისტოში, ბრიუსელში, IFLA-ს მსოფლიო კონგრესის შეხვედრების დროს, IFLA -ს საკატალოგიზაციო სექციის მუდმივმოქმედმა კომისიამ მიიღო ახალი გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხებოდა IFLA-ს პროგრამას ISBD-ების შესახებ. შეთანხმდნენ, რომ ყველა ISBD-ს ტექსტი 5 წლის განმავლობაში შეუცვლელად იქნებოდა გამოყენებული, რომლის შემდგომაც გადაისინჯებოდა ყველა ან ცალკეული ტექსტი. ამ გადაწყვეტილების შედეგად IFLA-მ შექმნა ISBD-ების გადასინჯვის კომიტეტი, რომლის პირველი შეხვედრა მოეწყო ლონდონში 1981 წლის 10-11 აგვისტოს. შემუშავდა გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა გადაემუშავებინათ და

შეესწორებინათ ოთხი ISBD: ISBD(CM), ISBD(NBM), ISBD(S) (ყველა პირველად გამოქვეყნდა 1977 წელს) და ISBD(M), რომლის უკანასკნელი გამოცემა 1978 წელს გამოქვეყნდა.

ტექსტებთან პრაქტიკულმა მუშაობამ ბევრი სასიკეთო იდეა წარმოშვა მათი შემდგომი გაუმჯობესებისათვის და დადგინდა მოქმედების შემდეგი მთავარი სავალდებულო მიმართულებები:

1. ფორმულირებების გამართვა და განსაზღვრებებსა და პირობებში თავსებადობის მიღწევა;
2. ISBD-ების მორგება არარომაული დამწერლობებისათვის;
3. ტოლობის ნიშნის გამოყენების გადასინჯვა;
4. უფრო მეტი და უკეთესი მაგალითების ჩართვა;
5. შენიშვნების განხილვა, განსაკუთრებით მათი, რომლებიც მიღებულია IASA-დან (International Association for Sound Archives) და IAML-დან (International Association of Music Librarians), და ეხება არაწიგნად მასალებს (NBM).

ამ ოთხი ტექსტის გადასინჯვა უკვე დასრულდა.

ამის შემდეგ, დარჩენილი პროექტების ბოლომდე მისაყვანად, უფრო მცირე შემადგენლობის სარევიზიო კომისია დაინიშნა. ამ კომისიას კომპიუტერული ფაილებისათვის უნდა შეექმნა ახალი ISBD(CF) და გადაესინჯა ISBD(PM), ISBD(A) და ISBD(G). ეს სამუშაო ISBD-ების გადასინჯვის დამაბოლოებელი ფაზის ნაწილია და ემსახურება საერთაშორისო სტანდარტული ზოგადი ბიბლიოგრაფიული აღწერილობის: ანოტირებული ტექსტის (ISBD(G): Annotated text) პრინციპების ჰარმონიზაციას სპეციალიზებული ISBD -ების ახალი ვერსიების დებულებებთან. ისევე, როგორც 1977 წლის ISBD(G) -ს გამოცემის შემთხვევაში, ISBD(G) -ს ეს შესწორებული გამოცემაც საერთო გამოყენების საკატალოგიზაციო წესების შექმნას კი არ ისახავდა მიზნად, არამედ სპეციალიზებული ISBD-ების ძირითადი თვისებებისა და საერთო ჩარჩოს დაფიქსირებას და, აგრეთვე, ორიენტირის დადგენას საკატალოგიზაციო წესების შექმნისათვის. სპეციალიზებულ ISBD -ებში კი საკატალოგიზაციო წესების უფრო დეტალური დებულებები და ინსტრუქციებია მოცემული.

ISBD(G) შეიცავს ორ დანართს: პირველი გვთავაზობს მრავალდონიანი აღწერილობის სპეციალური ტექნიკის ზოგად სტანდარტიზებულ დაწესებულ ნორმებს; მეორე ასრულებს ზემოთ ნახსენები ორიენტირის როლს მომხმარებლის არარომაულ დამწერლობის გამოცემებზე მუშაობისას დასაკმაყოფილებლად: აქ ნაჩვენებია მონაცემების ჩაწერის მაგალითები და ხერხები, როდესაც მონაცემები უნდა გადაიწეროს ნაწილობრივ მარჯვნიდან

მარცხნივ დამწერლობის წესებით, და, ნაწილობრივ მარცხნიდან მარჯვნივ დამწერლობის წესებით.

ISBD(G)-ს ეს ახალი გამოცემა მიღებულია IFLA -ს საკატალოგო სექციის მიერ.

ვაშინგტონი ჯონ დ.ბაირემი, თავმჯდომარე
ივლისი, 1989 ISBD-ის სარევიზიო კომისია

## 0 წინასწარი შენიშვნები

**0.1 მოქმედების არე, მიზანი და გამოყენება**

**0.1.1 მოქმედების არე**

საერთაშორისო სტანდარტული ზოგადი ბიბლიოგრაფიული აღწერილობა, - შემდგომში მოხსენიებული, როგორც ISBD(G), – იძლევა საბიბლიოთეკო ფონდის ყველა შესაძლო მასალის აღწერილობისა და იდენტიფიკაციის ყველა ელემენტის ჩამონათვალს, ადგენს აღწერილობის ელემენტთა თანმიმდევრობას და განსაზღვრავს აღწერილობის პუნქტუაციის სისტემას.

ISBD(G) ქმნის საფუძველს იმ სპეციალიზებული ISBD-ებისათვის, რომელიც უკვე შემუშავდა ან მზადდება საბიბლიოთეკო მასალების კონკრეტული კატეგორიებისათვის. იგი აგრეთვე საფუძველს ქმნის ISBD-ების არსებული ტექსტების გადასინჯვისათვის მომავალში. გარდა ამისა, მოსალოდნელია, რომ საკატალოგიზაციო წესების შემუშავებაზე პასუხისმგებელი ეროვნული თუ საერთაშორისო კომიტეტები გამოიყენებენ ISBD(G)-ს, როგორც ბაზისს საბიბლიოთეკო მასალათა აღწერილობის წესების შედგენისას, ან სპეციალიზებული ISBD-ს, ან უშუალოდ ISBD(G)-ს გამოყენებით იმ მასალისათვის, რომლისთვისაც სპეციალიზებული ISBD არ არსებობს. ISBD(G) არ არის შექმნილი იმისათვის, რომ ბიბლიოთეკის კატალოგისტმა ან ეროვნული ბიბლიოგრაფიის სააგენტომ უშუალოდ გამოიყენოს ის დოკუმენტის აღწერისათვის.

ISBD(G) ეხება იმ წესებს, რომლის მიხედვითაც დოკუმენტები აღიწერება, პირველ რიგში, ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტოების მიერ შექმნილ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებში (ეროვნული ბიბლიოგრაფიის ბეჭდურ გამოცემებში, სხვა ბეჭდურ ჩანაწერებსა და მათთან დაკავშირებულ მონაცემთა კომპიუტერულ ფაილებში) და, მხოლოდ მეორე რიგში, სხვა

საკატალოგიზაციო სააგენტოების ჩანაწერებში, როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური ფორმით (იმ შემთხვევაში, როდესაც ბიბლიოგრაფიული მონაცემები კომპიუტერულ მატარებელში ინახება, ISBD-ები აწესებენ შეთანხმებებს თვალით საკითხავ ფორმებზე, როგორიცაა გამოსახულება ეკრანზე ან ბეჭდური პროდუქცია, და არა კომპიუტერულ მატარებელში გამოყენებულ მონაცემთა სტრუქტურაზე.)

**0.1.2 მიზანი**

ISBD-ს უპირველესი მიზანია თავსებადი ბიბლიოგრაფიული აღწერილობის პირობების უზრუნველყოფა მთელს მსოფლიოში, რათა დაეხმაროს ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების საერთაშორისო გაცვლას როგორც ეროვნულ ბიბლიოგრაფიულ სააგენტოებს შორის, ასევე მთლიანად მთელს საერთაშორისო საინფორმაციო და საბიბლიოთეკო საზოგადოებაში. ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ელემენტების განსაზღვრით, იმ თანამიმდევრობისა და პუნქტუაციის დაწესებით, რომლის მიხედვითაც ეს ელემენტები უნდა იქნეს წარმოდგენილი და გამოყოფილი ერთმანეთისაგან ჩანაწერში, ISBD-ების მიზანია, რომ: ა) სხვადასხვა წარმოშობის ჩანაწერები ურთიერთგაცვლისათვის გამოსადეგი გახადოს ისე, რომ ერთ ქვეყანაში შექმნილი ჩანაწერები ადვილად იქნეს გამოყენებული სხვა ქვეყნის ბიბლიოთეკის კატალოგებსა და ბიბლიოგრაფიულ ნუსხებში; ბ) ხელი შეუწყოს ჩანაწერების აღქმას, მიუხედავად ენობრივი ბარიერისა, რათა ერთი ენის მომხმარებლისათვის შექმნილი ჩანაწერები ადვილად გასაგები გახდეს სხვა ენის მომხმარებლისათვის; გ) დაეხმაროს ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების გადაყვანას (კონვერსიას) კომპიუტერულ ფორმაში.

**0.1.3 გამოყენება**

ISBD-ები უზრუნველყოფს პირობებს მაქსიმალური აღწერილობითი ინფორმაციის მისაღებად, რომელიც აუცილებელია სხვადასხვა ბიბლიოგრაფიული საქმიანობისათვის და ამიტომ ისინი შეიცავენ ისეთ ელემენტებს, რომლებიც არსებითია თუნდაც ერთი ასეთი საქმიანობისათვის, მაგრამ არ არის აუცილებელი ყველასათვის.

რეკომენდებულია, რომ ეროვნულმა ბიბლიოგრაფიულმა სააგენტოებმა ყოველ ქვეყანაში, რომელთაც დაკისრებული აქვთ ამ ქვეყნის ყველა გამოცემის სრული და ზუსტი აღწერილობის შედგენის პასუხისმგებლობა, მოამზადონ სრული და ზუსტი აღწერილობა, რომელიც შეიცავს ყველა სავალდებულო

ელემენტს, გათვალისწინებულს შესაბამის ISBD-ში იმ მოცულობით, რომლითაც ეს მონაცემებია გამოყენებული აღსაწერ გამოცემაში.

სხვა საკატალოგიზაციო ორგანიზაციებს უფრო ფართო არჩევანი აქვთ, რადგან ისინი არ უზრუნველყოფენ სრულ და ზუსტ ჩანაწერებს საერთაშორისო გაცვლისათვის. მათ შეუძლიათ შეარჩიონ ISBD-ს ელემენტები, სავალდებულო თუ ფაკულტატიური, საკუთარ ჩანაწერებში ჩასართავად, შესაბამისი ISBD-ს მიერ დაწესებული თანამიმდევრობისა და პუნქტუაციის დაცვით.

ISBD-ს მიხედვით შექმნილი აღწერილობა სრული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ნაწილს წარმოადგენს და, ჩვეულებრივ, დამოუკიდებლად არ გამოიყენება. სრული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის სხვა შემადგენელი ელემენტები, ისეთები, როგორიცაა თავსათაური, საგნობრივი რუბრიკები, უნიფიცირებული სათაური, ბარათებისა და დამატებითი ბარათების განლაგების ნიშნები და წესები, არ შედის ISBD-ს დებულებებში. ამ ელემენტების ჩაწერის წესები, ჩვეულებრივ, მოცემულია საკატალოგიზაციო წესებში.

## 0.2 განსაზღვრებანი

ტერმინი “ერთეული”(item) ამ ტექსტში ნიშნავს დოკუმენტს, დოკუმენტთა კრებულს ან დოკუმენტის ნაწილს ნებისმიერი ფიზიკური ფორმით, როგორც ბიბლიოგრაფიული აღწერის არსებულ საგანს, რომელიც ქმნის საფუძველს ერთადერთი ბიბლიოგრაფიული აღწერილობისთვის.

ISBD(G)-ში სხვა ტერმინების განსაზღვრებანი, რომლებიც გამოყენებულია განსაკუთრებული მნიშვნელობით ან, თუ საზოგადოდ მათ რამდენიმე მნიშვნელობა აქვთ, მოყვანილია შესაბამისი სფეროს ან ელემენტის ანოტაციის დასაწყისში. იმ ტერმინთა განმარტებები, რომლებიც ჩვეულებრივი ბიბლიოგრაფიული მნიშვნელობით არის გამოყენებული, არ არის მოყვანილი.

## 0.3 ISBD (G)-ს სქემა

| სფერო | ელემენტებისათვის დაწესებული წინამდებარე (ან გამმიჯვნელი) პუნქტუაცია | ელემენტი |
|---|---|---|

შენიშვნა: თითოეულ სფეროს, გარდა პირველისა, წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი (. - ).

| | | |
|---|---|---|
| 1. სათაურისა და პასუხისმგებლობის ცნობების სფერო | | 1.1 ძირითადი სათაური |
| | [] | 1.2 მასალის ზოგადი აღნიშვნა |
| | = | 1.3 პარალელური სათაური |
| | : | 1.4 სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ |
| | | 1.5 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ |
| | / | პირველი ცნობები |
| | ; | მომდევნო ცნობები |
| 2. გამოცემის სფერო | | 2.1 ცნობები გამოცემის შესახებ |
| | = | 2.2 პარალელური ცნობები გამოცემის შესახებ |
| | | 2.3 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც დაკაშირე-ბულია გამოცემასთან |
| | / | პირველი ცნობები |
| | : | მომდევნო ცნობები |
| | ‘ | 2.4 დამატებითი ცნობები გამოცემის შესახებ |
| | | 2.5 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოსდევს დამატებით ცნობებს გამოცემის შესახებ |
| | / | პირველი ცნობები |
| | ; | მომდევნო ცნობები |
| 3. მასალის (ან პუბლიკაციის სახეობის ) დამახასიათებელი სფერო | | |
| 4. გამოქვეყნების, გავრცელებისა და ა.შ. სფერო | | 4.1 გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. ადგილი |
| | | პირველი ადგილი |
| | ; | შემდგომი ადგილი |
| | : | 4.2 გამომცემელი, გამავრცელე- |

| | | |
|---|---|---|
| | | ბელი და ა.შ. |
| | [ ] | 4.3 ცნობა გამავრცელებლის ფუნქციის შესახებ |
| | , | 4.4 გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. თარიღი |
| | ( | 4.5 წარმოების ადგილი |
| | : | 4.6 მეწარმე |
| | ,) | 4.7 წარმოების თარიღი |
| 5.ფიზიკური აღწერილობის სფერო | | 5.1 სპეციფიკური მასალის აღნიშვნა და მისი მოცულობა |
| | : | 5.2 სხვა ფიზიკური დეტალები |
| | ; | 5.3 აღწერის ერთეულის (მასალის) ზომები |
| | + | 5.4 ცნობები თანმხლები მასალის შესახებ |
| 6.სერიის სფერო | | 6.1 სერიის ან ქვესერიის ძირითადი სათაური |
| შენიშვნა :ცნობები სერიის შესახებ მოთავსებულია ფრჩხილებში. თუ არის ორი ან მეტი ცნობა სერიის შესახებ, მაშინ თითოეული უნდა იყოს მოთავსებული ფრჩხილებში. | = | 6.2 სერიის ან ქვესერიის პარალელური სათაური |
| | : | 6.3 სერიის ან ქვესერიის სათაურის შესახებ სხვა ცნობები |
| | | 6.4 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც ეხება სერიას ან ქვესერიას |
| | / | პირველი ცნობები |
| | ; | მომდევნო ცნობები |
| | , | 6.5 სერიის ან ქვესერიის საერთაშორისო სტანდარტული სერიალური ნომერი |
| | ; | 6.6 ნუმერაცია სერიის ან ქვესერიის შიგნით. . |

7.შენიშვნების სფერო

8. სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნომრის და ხელმისაწვდომობის პირობების სფერო

8.1 სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნომერი

= 8.2 საკვანძო სათაური

: 8.3 ხელმისაწვდომობის პირობები ან ფასი

( ) 8.4 კვალიფიცირება (სხვადასხვა პოზიციებში)

ზოგადი შენიშვნები ISBD(G)-ს სქემაზე

A. ზემოთ მოყვანილ სქემაში ტერმინები “პირველი ცნობები“, “მომდევნო ცნობები“ და ამის მსგავსი, გვიჩვენებს თანამიმდევრობას, რომელშიც ეს ცნობებია მოცემული აღწერილობაში და მათ არა აქვთ სხვა დამატებითი მნიშვნელობა.
B. ზემოთ მოცემულ სქემაში არ არის მინიშნებული, თუ რომელი სფერო ან ელემენტი შეიძლება განმეორდეს ან არასავალდებულოდ ჩაითვალოს. ამ საკითხების დეტალურ აღწერას იძლევა სპეციალიზებული ISBD-ები.
C. როდესაც ინფორმაცია, რომელიც, ჩვეულებრივ, ერთ სფეროს ან ელემენტს განეკუთვნება აღწერის ერთეულში ენობრივად დაკავშირებული აღმოჩნდება სხვა სფეროსთან ან ელემენტთან, მაშინ ის გადაიწერება ისევე, როგორც არის მოცემული.

## 0.4 პუნქტუაცია

0.4.1 აღწერილობის თითოეულ ელემენტს, გარდა პირველი სფეროს პირველი ელემენტისა, წინ უძღვის ან წინ და ბოლოში ახლავს პუნქტუაციის დაწესებული ნიშნები (სხვა გამონაკლისები იხ. 0.4.3-ში). დაწესებულ პუნქტუაციას წინ და ბოლოში აქვს ინტერვალები (ერთი დარტყმა საბეჭდ მანქანაზე ან ინტერვალი, რომელიც შეესაბამება ერთ ასოს ტიპოგრაფიული ბეჭდვის დროს), გარდა მძიმისა (,) და წერტილისა (.), რომელთაც მხოლოდ ინტერვალი მოსდევს. პუნქტუაციის სხვა ნიშნების შემოღება, ისევე, როგორც ამ ნიშნების წინ და უკან ინტერვალების დასმა, შეიძლება დააწესოს ეროვნულმა ბიბლიოგრაფიულმა სააგენტოებმა ან საკატალოგიზაციო

0.4.2 მრგვალი ფრჩხილები ( ( ) ) და კვადრატული ფრჩხილები ( [ ] ) (იხ. 0.4.8) თითოეული განიხილება, როგორც პუნქტუაციის ერთი სიმბოლო და წინამდებარე ინტერვალი მოდის პირველი მრგვალი ფრჩხილის ან კვადრატული ფრჩხილის წინ, ხოლო მომდევნო - მეორე (დამაბოლოებელი) მრგვალი ან კვადრატული ფრჩხილის შემდეგ (მაგრამ იხ. 0.10). თუ მრგვალ ან კვადრატულ ფრჩხილებს წინ უძღვის ან მოსდევს დაწესებული პუნქტუაცია, რომელიც მთავრდება ან იწყება ინტერვალით, მაშინ რჩება მხოლოდ ერთი ინტერვალი.

0.4.3 ISBD(G)-ს თითოეულ სფეროს, გარდა პირველისა, წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი (. - ), თუ ეს სფერო წინამდებარე სფეროსაგან თვალსაჩინოდ არ არის გამოყოფილი აბზაცით, პოლიგრაფიულად ან შეწევით. ამ შემთხვევაში წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი შეიძლება გამოვტოვოთ ან შევცვალოთ წერტილით ( . ), რომელიც დაისმება წინამდებარე სფეროს ბოლოში.

0.4.4 როდესაც აღწერილობაში არ არის მოცემული სფეროს პირველი ელემენტი, პირველი არსებული ელემენტის წინამდებარე პუნქტუაცია შემდეგნაირად იცვლება: წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი (. - ), რომელიც წინ უძღვის სფეროს.

0.4.5 როდესაც სფერო მეორდება, თითოეულ გამეორებას წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი ( . - ), გარდა ორი შემთხვევისა: (ა) პირობისა, რომელიც აღწერილია 0.4.3 -ში და (ბ) მე-6 სფეროს მრავალსერიული ცნობებისა.

0.4.6 როდესაც ელემენტი მეორდება, თითოეულ გამეორებას წინ უძღვის ამ ელემენტისათვის დაწესებული შესაბამისი პუნქტუაცია.

0.4.7 როდესაც ელემენტი მთავრდება წერტილით, ხოლო მომდევნო ელემენტისათვის დაწესებული პუნქტუაცია იწყება წერტილით, რჩება მხოლოდ ერთი წერტილი (ის შემთხვევა, როდესაც იწერება ზუსტი პუნქტუაცია, იხ. ISBD(A)-ში).

მაგ., 3rd ed.-

და არა 3rd ed..-

And then ... -4th ed.

და არა And then .... -4th ed.

0.4.8 პუნქტუაციის სამი სიმბოლო შეიძლება გამოვიყენოთ ყველა ან უმეტეს სფეროში.

A. კვადრატული ფრჩხილები ( [ ] ) პუნქტუაციის დაწესებული ნიშანია, რომელიც გამოიყენება გარკვეული ელემენტების განსაცალკევებლად

თუ ერთი და იმავე სფეროს ფარგლებში თანამიმდევრულად განლაგებული ელემენტები მიღებულია არა დაწესებული ინფორმაციის წყაროდან, მაშინ ისინი თავსდებიან ერთ წყვილ კვადრატულ ფრჩხილებში, გარდა მასალის ზოგადი აღნიშვნისა, რომელიც ყოველთვის თავსდება თავის საკუთარ წყვილ კვადრატულ ფრჩხილებში. როდესაც თანამიმდევრულად განლაგებული ელემენტები სხვადასხვა სფეროებშია, თითოეული ელემენტი თავსდება კვადრატული ფრჩხილების ცალკეულ წყვილში.

B. გამოტოვების ნიშნები, ანუ სამი წერტილი (...) აღნიშნავს ელემენტის რაიმე ნაწილის გამოტოვებას (იხ. 0.7.1, 0.7.2).

C. მრგვალი ფრჩხილები ( ( ) ) წარმოადგენს დაწესებულ პუნქტუაციას, რომელიც გამოიყენება თითოეული სერიის ცნობების გასამიჯნავად მე-6 სფეროში, მე-4 სფეროში - გარკვეული ელემენტების გამოსაყოფად და მე-5 და მე-8 სფეროების განსაზღვრულ ელემენტებში - ინფორმაციის მოსათავსებლად.

0.4.9 როდესაც სფეროში ან ელემენტში ერთი და იგივე ინფორმაციაა მოცემული ორ ან მეტ ენაზე და/ან დამწერლობაში, გამოიყენება შემდეგი დებულებები:

თუ ერთი ელემენტი ჩაწერილია ორ ან მეტ ენაზე და/ან დამწერლობაში, პირველი ენის შემდგომ ინფორმაციას თითოეულ ენაზე და/ან დამწერლობაში წინ უნდა უძღოდეს ინტერვალი, ტოლობის ნიშანი, ინტერვალი ( = ).

თუ ერთ სფეროში ორი ან მეტი ელემენტი ჩაწერილია ორ ან მეტ ენაზე და/ან დამწერლობაში, მაშინ ეს ელემენტები თითოეულ ენაზე და/ან დამწერლობაში მოცემულია შესაბამის წინამდებარე პუნქტუაციასთან ერთად თითოეული ელემენტისათვის. პირველ ენაზე და/ან დამწერლობაში ჩაწერილი ელემენტების მთელ ჯგუფს წინ უძღვის პირველი ელემენტისათვის შესაბამისი პუნქტუაცია და თითოეულ ჯგუფს პირველის შემდეგ წინ უძღვის ინტერვალი, ტოლობის ნიშანი, ინტერვალი ( = ).

0.4.10 ნებისმიერი სფერო ან ელემენტი, რომელიც არ მიესადაგება მოცემულ აღსაწერ ერთეულს, არ ჩაირთვება მის აღწერილობაში. ასევე უნდა იყოს გამოტოვებული ასეთი სფეროს ან ელემენტის წინ მდებარე ან გამმიჯვნელი დაწესებული პუნქტუაცია.

0.4.11 როდესაც ინფორმაცია მოცემულია მარჯვნიდან მარცხნივ მიმართული დამწერლობით, მაშინ დაწესებული პუნქტუაცია, როგორიცაა მძიმე და წერტილ-მძიმე, გამოიყენება საპირისპირო მიმართულებით, თუ ეს არის დამწერლობის სტილი. ზუსტად ასევე, - წერტილის, ინტერვალის, ტირეს და ინტერვალის - დაწესებული პუნქტუაციის კომბინაცია იკითხება მარჯვნიდან მარცხნივ და მაშინ მრგვალი გამხსნელი - დამხურავი მრგვალი და კვადრატული ფრჩხილების მნიშვნელობები საპირისპიროა. დახრილი ხაზის ნიშანი და არაბული ციფრების ჯგუფები, რომლებიც არ იცვლიან მიმართულებას ამგვარ დამწერლობაში, ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში შებრუნებული მიმართულებით არ იწერება.

იხილეთ დანართი B, სადაც მოცემულია, თუ როგორ დამუშავდება როგორც მარცხნიდან მარჯვნივ მიმართული, ასევე მარჯვნიდან მარცხნივ მიმართული დამწერლობის გამოყენებით ჩაწერილი ინფორმაცია.

## 0.5 ინფორმაციის წყაროები

აღწერის ერთეულისათვის ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენისას უპირატესობა ენიჭება თვით ამ ერთეულში მოცემულ ინფორმაციას. ინფორმაციის უმჯობესი წყაროების და ინფორმაციის დაწესებული წყაროების დეტალები მასალის თითოეული ტიპისათვის, მოცემულია სპეციალიზებულ ISBD-ებში.

## **0.6 აღწერილობის ენა და დამწერლობა**

1, 2, 4 და 6 სფეროების ელემენტები ჩვეულებრივ გადაიწერება აღწერის ერთეულიდან და ამიტომ, სადაც ეს მიღებულია პრაქტიკაში, ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში იმ ენაზე და/ან იმ დამწერლობაშია, როგორც აღწერის ერთეულშია მოცემული. ინტერპოლაცია ამ სფეროებში ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში და იმ ენაზე და/ან დამწერლობაშია, რომელიც მოყვანილია აღწერილობის მოცემული ნაწილის კონტექსტში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- დაწესებული აბრევიატურები (იხ. 0.7) და დაწესებული ინტერპოლაციები (იხ. 0.10, 0.11);
- მასალის ზოგადი აღნიშვნა (იხ. 1.2) და ცნობები გამავრცელებლის ფუნქციის შესახებ (იხ. 4.3 ), რომლებიც მოცემულია იმ ენაზე და/ან დამწერლობაში, რომელსაც ირჩევს ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტო.

ენა (ენები) და დამწერლობ(ები)ა მე-3 სფეროსათვის განსაზღვრულია სპეციალიზებულ ISBD-ებში.

ტერმინები, გამოყენებული მე-5, მე-7 და მე-8 სფეროებში არ არის მოცემული კვადრატულ ფრჩხილებში და მოცემულია იმ ენაზე და/ან დამწერლობაში, რომელსაც ირჩევს ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტო გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

- ციტირებული სათაურები მოცემულია მე-7 სფეროში
- ციტატები მოცემულია მე-7 სფეროში
- საკვამო სათაური მოცემულია მე-8 სფეროში.

აღწერის ერთეულების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა მოცემული იმ დამწერლობით, რომლითაც არ სარგებლობს რომელიმე ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტო, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია გადაიწეროს ამ ცნობების ფრჩხილებში ჩასმის გარეშე, ტრანსლიტერაციის საშუალებით, ან იმ დამწერლობით, რომელსაც იყენებს მოცემული სააგენტო.

## 0.7 შემოკლებები და აბრევიატურა

0.7.1 გამონაკლის შემთხვევებში, აღწერილობისას დაშვებულია გარკვეული ელემენტების შემოკლება ( მაგ., როცა ძირითადი სათაური გრძელია). ასეთ შემთხვევებში გამოტოვება აღნიშნულია გამოტოვების ნიშნით.

0.7.2 ზოგიერთი აბრევიატურა დაწესებულია სპეციალურ დებულებებში (მაგ., 0.10, 1.5, 4.1, 4.2). სხვა აბრევიატურები დაწესებულია სპეციალიზებულ ISBD-ებში.

0.7.3 ISBD-ების სხვადასხვა დებულებებში ძირითადი ყურადღება ექცევა “სტანდარტულ შემოკლებებს “ ( მაგ., ცნობები გამოცემის შესახებ , იხ. 2.1 ) შემოკლებების ფორმების დაზუსტების გარეშე. ეს შემოკლებები არ არის დაწესებული, მაგრამ რეკომენდებულია ISO 832- 1575, “დოკუმენტაცია - ბიბლიოგრაფიული მითითებები -ტიპიური სიტყვების აბრევიატიურა”, ან გამოიყენება მსგავსი ეროვნული სტანდარტები.

ISBD(G) -ში გამოყენებული აბრევიატურის მაგალითები, გარდა იმ აბრევიატურისა, რომელიც დაწესებულია 0. 7. 2-ში , საილუსტრაციო ხასიათისაა და არ არის აუცილებელი .

0.7.4 გარდა სპეციალურად დაწესებული ან დაშვებული აბრევიატურისა და შემოკლებებისა, მონაცემები 1, 2 და მე-6 სფეროებში ჩაწერისას არ მოკლდება, თუ ეს შემოკლებები წყაროში არ არის გამოყენებული.

## 0.8 დიდი ასოების გამოყენება (კაპიტალიზაცია)

როგორც წესი, პირველი სიტყვის პირველი ასო თითოეულ სფეროში უნდა იყოს დიდი . ზოგიერთი ელემენტის, როგორიცაა მასალის ზოგადი აღნიშვნა, პარალელური სათაური, ალტერნატიული სათაური, განყოფილების (სექციის) სათაური, პირველი სიტყვის პირველი ასო უნდა იყოს აგრეთვე დიდი. სხვა შემთხვევებში დიდი ასოები გამოიყენება იმ ენის და/ან დამწერლობის შესაბამისად, რომელშიც მოცემულია აღწერილობა (იხ. 0.6).

## 0.9 მაგალითები

ISBD(G) -ში მოცემული მაგალითები საილუსტრაციო ხასიათისაა და არ არის სავალდებულო. ISBD(G) -ს ინგლისურ ტექსტში გამოყენებული ტერმინები, ასევე სიტყვები ან მოკლე ფრაზები, რომლებიც დამატებულია მე-5, მე-7 და მე-8 სფეროებში, მოცემულია ინგლისურად. ISBD(G) -ს თარგმნის დროს, მოსალოდნელია, რომ ასეთი ტერმინები, სიტყვები და ფრაზები იქნება გადმოიცემული თარგმანის ენაზე.

## **0.10 ბეჭდვითი შეცდომები**

სიტყვები ორთოგრაფიული შეცდომებით ან სხვა უზუსტობებით გადაიწერება ისევე, როგორც არის მოცემული აღწერის ერთეულში. მათ შემდეგ დაისმება "Sic" ან " ! ", რომლებიც კვადრატულ ფრჩხილებში ( [Sic] ან [!] ) თავსდება. ან შეიძლება დაემატოს სიტყვის სწორი ჩაწერა კვადრატულ ფრჩხილებში და შესწორებას წინ უნდა უძღოდეს "i. e." (id est), ან მისი ექვივალენტი სხვა ენაზე და /ან დამწერლობაში. სიტყვებში ან მონაცემებში გამოტოვებული ასოები ან ციფრები შეიძლება უკანვე ჩაისვას კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმით (ამ შემთხვევაში კვადრატული ფრჩხილების არც წინ და არც უკან არ უნდა დაისვას ინტერვალი ).

## 0.11 სიმბოლოები და ა. შ.

სიმბოლო ან სხვა ნიშანი, რომელიც არ შეიძლება აისახოს ტიპოგრაფიული საშუალებებით ( ჩვეულებრივ, ეს არის სიმბოლოები , რომლებიც არც ციფრებია და არც ალფაბეტის სიმბოლო), იცვლება მისი აღწერილობით ან ექვივალენტით, შესაბამისი ასოებისა და სიტყვების გამოყენებით. შემცვლელი თავსდება კვადრატულ ფრჩხილებში და საჭიროების მიხედვით კეთდება განმარტება.

e.g. / [E. B. C.]
შენიშვნა: ავტორის ინიციალები წარმოდგენილია სატიტულო გვერდზე მუსიკალური ნიშნებით.

# 1 ელემენტების სპეციფიკაცია

## 1.1 სათაურისა და პასუხისმგებლობის ცნობების სფერო

### 1.1.1 ძირითადი სათაური

შენიშვნა
ძირითადი სათაური გამორიცხავს ნებისმიერ პარალელურ სათაურს (1.3) ან სხვა ინფორმაციას სათაურზე (1. 4). იგი შეიცავს ალტერნატიულ სათაურებს და კავშირს, რომელიც აერთებს ალტერნატიულ სათაურს და ძირითადი სათაურის პირველ ნაწილს. ის შეიძლება შედგებოდეს საერთო სათაურისაგან და დაქვემდებარებული სათაურისაგან, როდესაც სექციას, დამატებას, ნაწილს და სხვ., აქვს სათაური ან აღნიშვნა, რომელიც არ არის საკმარისი მისი იდენტიფიკაციისათვის საერთო სათაურის ან მთავარი გამოცემის სათაურის გარეშე. აღწერის ერთეული, რომელსაც არ გააჩნია კოლექტიური სათაური, განიხილება როგორც ძირითადი სათაურის არმქონე ერთეული (ამგვარი ერთეულები განიხილება 1.6-ში). სპეციალიზებულ ISBD-ებში მოყვანილია დებულებები, რომელთა თანახმად უნდა შეირჩეს ძირითადი სათაური, როდესაც ნაწარმოების სათაური მოცემულია რამდენიმე ენაზე და/ან დამწერლობაში (ინფორმაციის ერთი და იგივე ან სხვადასხვა წყაროებიდან).

მაგალითები კინოფილმის შემთხვევაში “Non-destructive inspection - a dollar sa-
ving diagnostic tool”, ძირითადი სათაური იქნება: Non-destructive inspection

ხმის ჩანაწერის შემთხვევაში “L’Ascension, hymne pour grand orchtestre”, ძირითადი სათაური იქნება: L’Ascension

მოდელის შემთხვევაში “Muscular dynamism or unique forms of continuity in space”, ძირითადი სათაური იქნება: Muscular dynamism, ან, Unique forms of continuity in space

წიგნის შემთხვევაში “Don Juan oder die Liebe zur Geometrie”, ძირითადი სათაურია: Don Juan, ან, Die Liebe zur Geometrie

ფილმის ტიტრის შემთხვევაში “French colonies in America. Colonies francaises d’Amerique”, ძირითადი სათაური იქნება: French colonies in America

სერიალის შემთხვევაში “Willing’s press guide”, ძირითადი სათაური იქნება: Willing’s press guide

წიგნის შემთხვევაში “Moriae encomium or A panegyrick upon folly”, ძირითადი სათაური იქნება: Moriae encomium, ან, A panegyrick upon folly

კომპიუტერული ფაილის შემთხვევაში “Mix and match games, Module 1—Letters”, ძირითადი სათაური იქნება: Mix and match games. Module 1, Letters

**1.1.2 მასალის ზოგადი აღნიშვნა**

გამმიჯვნელი პუნქტუაცია

კვადრატული ფრჩხილები, რომელსაც წინ უძღვის და მოსდევს ინტერვალი ( [ ] )

განსაზღვრება

ტერმინი მიუთითებს იმ მასალათა კლასს, ფართო გაგებით, რომელსაც განეკუთვნება აღწერის ერთეული.

შენიშვნა

სპეციალიზებული ISBD-ები შეიცავს სამუშაო ჯგუფის მიერ რეკომენდებული მასალის ზოგადი აღნიშვნების ტერმინთა სიას. ეროვნულმა ბიბლიოგრაფიულმა სააგენტოებმა უნდა განსაზღვრონ ზუსტი ტერმინები, რომლებიც მისაღებია მათი საჭიროებისა და ენის

მიხედვით და, ამავე დროს, მათ მხედველობაში უნდა მიიღონ სპეციალურ ISBD-ში მოცემული ტერმინთა სია.

მასალის ზოგადი აღნიშვნა მოცემულია ძირითადი სათაურის შემდეგ. როდესაც აღწერის ერთეული მოიცავს ორ ან მეტ ნაშრომს ძირითადი სათაურის გარეშე (იხ.1.6), მაშინ მასალის ზოგადი აღნიშვნა იწერება უშუალოდ პირველი სათაურის შემდეგ.

მაგალითები Beethoven for ten little fingers[GMD][1]

Four small dances [GMD] ; and, Six Hungarian folksongs

The great big enormous turnip [GMD] / pictures by Helen Oxenbury ; story by Alexei Tolstoy. The three poor tailors / Victor G. Ambrus

-----------------------------------

[1] ეს მაგალითები მოყვანილია მასალის ზოგადი აღნიშვნის პოზიციის საჩვენებლად. ფაქტობრივად, გამოსაყენებელი ტერმინები ჩანაცვლებულია აბრევიატურით - "GMD". პირველი სფეროს პუნქტუაცია ისეთი აღწერის ერთეულებისათვის, რომელთაც არ გააჩნია კოლექტიური სათაური, მოცემულია 1.6-ში.

### 1.1.3 პარალელური სათაური

წინამდებარე
პუნქტუაცია ინტერვალი, ტოლობის ნიშანი, ინტერვალი ( = )

განსაზღვრება

ძირითადი სათაური (ან ცალკეული ნაშრომის სათაური, რომელიც ჩართულია ისეთ აღწერის ერთეულში, რომელსაც კოლექტიური სათაური არ გააჩნია) სხვა ენაზე და/ან დამწერლობაში; ან სათაური სხვა ენაზე და/ან დამწერლობაში, რომელიც წარმოდგენილია ძირითადი სათაურის ექვივალენტად. პარალელური სათაურები აგრეთვე გვხვდება ძირითად სათაურთან კავშირში, სერიის ან ქვესერიის ცნობებში.

შენიშვნა

აღწერის ერთეულს შეიძლება ჰქონდეს ერთი ან მეტი პარალელური სათაური. როდესაც პარალელური სათაური ენობრივად აღწერილობის სხვა ნაწილთან არის დაკავშირებული, იგი არ განიხილება როგორც პარალელური სათაური. ორიგინალური სათაური იმ ენაზე, რომელიც განსხვავდება ძირითადი სათაურის ენისაგან და მოცემულია დაწესებულ ინფორმაციის წყაროში, პარალელურ სათაურად განიხილება. (იხ. აგრეთვე 0.4.9.).

მაგალითები
European journal of cancer [GMD] = Journal européen de cancérologie = Europäische Zeitschrift für Cancerologie
International map of natural gas fields in Europe [GMD] = Carte internationale des champs de gaz naturel en Europe
Breathless [GMD] = A bout de souffle
Herfra til evigheden [GMD] = From here to eternity
[GMD] = Novitates
sistematicae plantarum vascularim
[GMD] = Mr Know-All
Alles in allem [GMD] = Tout compte fait

### 1.1.4 სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ

წინამდებარე პუნქტუაცია — ინტერვალი, ორი წერტილი, ინტერვალი ( : )

განსაზღვრება — სიტყვა ან ფრაზა, ან სიმბოლოთა ჯგუფი, რომელიც მოცემულია აღწერის ერთეულის ძირითად სათაურთან კავშირში ან მასზეა დამოკიდებული. სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ აგრეთვე გვხვდება სხვა სათაურებთან კავშირში ან მათზეა დამოკიდებული (მაგ., პარალელური სათაურები, პუბლიკაციაში მოცემული ცალკეული ნაშრომები, სათაურები სერიის / ქვესერიის ცნობებში). სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ განსაზღვრავს, ხსნის ან აბოლოებს სათაურს, რომლისთვისაც იგი გამოიყენება ან მიუთითებს აღწერის ერთეულის ან მასში მოთავსებული ნაშრომების ხასიათზე, შინაარსზე და ა.შ., ან მიუთითებს მოტივს, შემთხვევას, რისთვისაც შეიქმნა ეს პუბლიკაცია. ტერმინი მოიცავს ქვესათაურებს, მაგრამ არ მოიცავს ვარიანტულ სათაურებს (მაგ. ყუის სათაური წიგნებისათვის).

შენიშვნა — ნაშრომის ორიგინალური სათაური იმავე ენაზე, რომელზეც არის ძირითადი ან ვარიანტული სათაური (რომელიც განსხვავდება პარალელური სათაურისაგან) და არის არჩეული, როგორც ძირითადი სათაური ან სათაური ნაშრომისა, რომელიც მასშია მოთავსებული, განიხილება როგორც ინფორმაცია სათაურის შესახებ, თუ ის

მოთავსებულია ამ ინფორმაციისათვის დაწესებულ წყაროში.

მაგალითები
Sigmund Freud [GMD] : the message of our dreams
Robert Owen's American legacy [GMD] : proceedings of the Robert Owen Bicentennial Conference, Thrall Opera House, New Harmony, Indiana, October 15 and 16, 1971
Valedictory [GMD] : for soprano and computer
Love [GMD] : a novel = L'envers de l'histoire contemporaine : roman
ME [GMD] : Meccano engineer
Die Sage von den Nibelungen [GMD] : Nibelungenlied
Better late [GMD] : a translation of "Feu la mère de Madame"

### 1.1.5 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ

წინამდებარე პუნქტუაცია
პირველ ცნობას პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოსდევს ნებისმიერ სათაურს, წინ უძღვის ინტერვალი, დახრილი ხაზი, ინტერვალი ( / ). მეორე და ყოველ შემდგომ ცნობას პასუხისმგებლობის შესახებ წინ უძღვის ინტერვალი, წერტილ-მძიმე, ინტერვალი ( ; ). თუმცა, როდესაც ორი ან მეტი ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ ერთიან ფრაზას ქმნის, დაწესებული პუნქტუაცია მხოლოდ პირველი ასეთი ცნობის წინ არის მოცემული.

განსაზღვრება
სახელ(ებ)ი, ფრაზ(ები) ან სიმბოლოთა ჯგუფ(ებ)ი, რომელიც დაკავშირებულია ნაწარმოების შინაარსის მხატვრულ და ინტელექტუალურ შექმნასა და რეალიზაციაში პასუხისმგებელი ან მონაწილე ნებისმიერი პიროვნების ან კოლექტივის იდენტიფიკაციასთან, ან ფუნქციებთან. ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ შეიძლება შეგვხვდეს სათაურთან კავშირში (მაგ., ძირითადი სათაური, პარალელური სათაური, პუბლიკაციაში

ინდივიდუალური ნაშრომების სათაურები, სათაურები სერიისა /ქვესერიის ცნობებში) ან გამოცემის შესახებ ცნობებთან კავშირში.

შენიშვნა განსხვავება პირველსა და შემდგომი პასუხისმგებლობის ცნობებს შორის მხოლოდ პუნქტუაციაშია. ეს არ ნიშნავს იმას, რომ პირველი ცნობა დაკავშირებულია პუბლიკაციის მთავარ პასუხისმგებელთან. ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ მაშინაც კი ჩაიწერება, როდესაც არც პიროვნება და არც ორგანიზაცია არ არის დასახელებული აღწერის ერთეულში, მაგ. როდესაც პასუხისმგებელი ანონიმურია ან ფარული (კრიპტონიმი). როდესაც რამდენიმე პიროვნების ან ორგანიზაციის სახელი წარმოდგენილია აღწერის ერთეულში, როგორც ერთი წინადადება პასუხისმგებლობის ცნობების შესახებ, მაშინ სახელების რაოდენობა, რომელიც გადაიწერება პასუხისმგებლობის შესახებ ცნობების ელემენტში, დამოკიდებულია ბიბლიოგრაფიულ სააგენტოზე. თუ ყველა არ გადაიწერება, მაშინ გამოტოვებულების ნაცვლად იწერება გამოტოვების ნიშანი და “et al.” (et alia) ან კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული მისი ექვივალენტი სხვა დამწერლობაში.

მაგალითები

All that jazz[GMD] / Fats Waller

Drei Stücke für ein Orgelwerk in einer Uhr [GMD] / W.A. Mozart ; eingerichtet von Monika Henking

Man, land and Ieisure [ GMD] / Schools Council Geography for the Young School Leaver Project

Анатоль Франс в Латинском квартале [GMD] / ВГ Финк ; исполнители В Мешков и Д Познер

Journal [GMD] / the Institution of General Technician Engineers

Familias norte-americanas [GMD] : los Di Stefano / colaborador de educación Beryl .L Bailey = American families : the Di Stefanos / educational collaborator

Beryl L. Bailey
Handley Cross [GMD] : a sporting tale / by the author of
'Jorrocks, jaunts and jolloties'
Fairy tales [GMD] / Hans Andersen ; translated from the Danish
Further experiences of an Irish R.M. [GMD] / E. OE.
Somerwille and Martin Ross ; illustrated by R.A. Prime
Everyman's smaller classical dictionary [GMD] / revised from
Sir William Smith by E.H. Blakeny and J. Warrington
Madame Bovary [GMD] / réalisateur, Jean Marais ; d'aprés le roman
de Flaubert = director, Jean Marais ; after the novel be Flafbert
Interstate produce sales [GMD] / prepared by M.Mumblow ...[et al.]

### 1.1.6 პუბლიკაცია ძირითადი სათაურის გარეშე

შენიშვნა როდესაც პუბლიკაცია ორი ან მეტი ნაშრომისაგან შედგება და არ გააჩნია კოლექტიური სათაური, თითოეული ნაშრომის სათაურს მოსდევს პარალელური სათაურები და მასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ. როდესაც ინდივიდუალური ნაშრომები ყველა ერთი და იმავე ავტორ(ებ)ის ან კოლექტიური ავტორ(ებ)ისაა, თითოეულ სათაურს, გარდა პირველისა, წინ უძღვის ინტერვალი, წერტილ-მძიმე, ინტერვალი ( ; ) და ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ ჩაიწერება ყველა სათაურის შემდეგ. როდესაც ინდივიდუალური ნაწარმოებები ეკუთვნის სხვადასხვა პირებს ან ორგანიზაციებს, მაშინ თითოეულ სათაურს, გარდა პირველისა, წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი (. ) (თუ არ არის შეერთებული მაკავშირებელი ფრაზით ან სიტყვით) და ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ იქნება მოცემული იმ სათაურ(ებ)ის შემდეგ, რომელსაც ისინი მიეკუთვნება (როდესაც სერიალური გამოცემა შედგენილია ორი ან მეტი ნაშრომისაგან, იხ. ISBD(S) 1.1.3.2.2).

მაგალითები
"Clock" symphony [GMD] : (no. 101), "Surprise" symphony :
(no. 94) / Haydn

